თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 18

ქ.თერჯოლა

10 ნოემბერი 2022 წელი

ა.ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. მანუჩარ ფანჩულიძე მ/შ., 8. გრიგოლ გიორგაძე, 9. შალვა ჭანკვეტაძე, 10. კახა ბუცხრიკიძე, 11. ტარიელ ფანჩულიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2822231226, 08.11.2022 წ.);

მომხს.: მ.ფანჩულიძე
თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (ქ. თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1757.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და სოფ. ჭოგნარში მდებარე არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების 1309.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282231244, 08.11.2022 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201416 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282231356, 09.11.2022 წ.);

მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282231356, 09.11.2022 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.29220147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282231356, 09.11.2022 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის № გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.:ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელმა მანუჩარ ფანჩულიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 723.1 ათასი ლარით და შეადგენს 30337.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 16.2 ათასი ლარით (გრანტი სატენდერო ეკონომიები).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 739.4 ათასი ლარით. მათ შორის 42.2 ათასი ლარით: გრანტი რგფ (ვარლამ მაკარიძის გზის რეაბილიტაცია). 600.0 ათასი ლარი ფინანსური დახმარება(გრანტი). 91.8 ათასი ლარი სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და 5.4 ათასი ლარი დღგ.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 16.2 ათასი ლარით. გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია შემცირდა 16.2 ათასი ლარით (სატენდერო ეონომია სარბევის გზა).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 739.4 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია გაიზარდა 42.2 ათასი ლარით ქ. თერჯოლაში ვარლამ მაკარიძის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია 42.2 ათასი ლარი (რგფ).

ა(ა)იპი თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 390.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 66.8 ათასი ლარით.

სკოლისგარეშე განათლება გაიზარდა 17.0 ათასი ლარით.

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება 91.8 ათასი ლარით (ტრანსპორტი).

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 36.6 ათასი ლარით.

კულტურის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 26.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლის დაფინანსება გაიზარდა 8.0 ათასი ლარით.

საჯარო ბიბლიოთეკის დაფინანსება გაიზარდა 3.0 ათასი ლარით.

კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 13.0 ათასი ლარით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 30.0ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2822231226, 08.11.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (ქ. თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1757.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და სოფ. ჭოგნარში მდებარე არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების 1309.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემული ზემოთ

აღნიშნული 2 უძრავი ქონება შემდგომში მათი პრივატიზების მიზნით. თერჯოლაში მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის ფასია 50000(ორმოცდაათი ათასი)ლარი, ხოლო ჭოგნარში მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის ფასი - 29400 (ოცდაცხრა ათას ოთხასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (ქ. თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1757.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და სოფ. ჭოგნარში მდებარე არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების 1309.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282231244, 08.11.2022 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 277 000 ლარს, ამ დროისათვის გაცემულია 262 163 ლარი. პროგრამაში თანხის მომატების საჭიროება გამოიწვია მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდამ, ასევე პროგრამაში განხორციელებულმა ცვლილებამ (მოქალაქემ შეიძლება პროგრამით ისარგებლოს მეორედ, შემოსავლების გათვალისწინებით) პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 30 000 ლარით და გახდება 307 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282231356, 09.11.2022 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტს (183 000 ლარი) რომელიც ამ დროისათვის თითქმის მთლიანად გახარჯულია ემატება სახლდაზიანებული მოქალაქეების პროგრამიდან 10 000 ლარი და ა(ა)იპ ,,ინვალიდთა ასოციაციიდან" ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად აუთვისებელი თანხა 9500 ლარი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოცილალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282231356, 09.11.2022 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.29220147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შეკეთების ბიუჯეტში დარჩენილია 20 500 ლარი, შესაძლებელია აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი საცხოვრებელი სახლების შეკეთების ნაწილში შემცირდეს 10 000 ლარით და გადავიტანოთ ერთჯერად ფინანსური დახმარების პროგრამაში.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14

იანვრის №29.29220147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282231356, 09.11.2022 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის № გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილია ომარ ჯიხვაშვილი პირადი განცხადების საფუძველზე.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა წარმოდგენილი სახით.

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - კომისიის შემადგენლობაში პირადი განცხადების საფუძველზე შეყვანილია ამირან ვერულაშვილი .

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა წარმოდგენილი სახით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2022 წლის 10 ნოემბრის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი